საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 7 23 0000525672

10/05/2023

შპს ალტე უნივერსიტეტის " კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისაკრედიტაციისმინიჭების თაობაზე

1.გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1.„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან “ან„ არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და

დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5 აკრედიტაციის დებულების 27[5]მე-7[1]პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2.აღწერილობითინაწილიდადასაბუთება

2.1.სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოდგენილ იქნა შპს ალტე უნივერსიტეტის 2022 წლის 30 ნოემბრის№4643 წერილი (ცენტრში რეგისტრაციის - №1528519, 01/12/2022), რომლითაც დაწესებულებამ წარმოადგინა სააკრედიტაციო განაცხადი "კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე.

2.2. ცენტრის 2022 წლის 19 დეკემბრის №1621198 ბრძანების საფუძველზე, უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის 2023 წლის 02 თებერვლის №118063 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2023 წლის 21 თებერვალს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი უნივერსიტეტში. რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არარისშესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		√		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2023 წლის 25 აპრილს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე

აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა შეფასება.

3.სარეზოლუციონაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^{2}მუხლის პირველი პუნქტის, 27^{5}მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^{6}მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,აკრედიტაციის საბჭომ 17 ხმით არცერთის წინააღმდეგ

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს შპს ალტე უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ " კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2025 წლის 31 დეკემბრამდე, 1 წელიწადში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა " კომპიუტერული მეცნიერების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2023 წლის 10 მაისის №524597 სხდომის ოქმის № 02 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. საბჭომ ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაციები განსაზღვრა შემდეგნაირად:

რეკომენდაციები:

1. რეკომედირებულია, უნივერსიტეტში არსებული გასაჩვრების პროცედურების შესახებ სტუდენტების ინფორმირება.
2. რეკომენდირებულია, საერთაშორისო გაცვლითი პროექტების, საერთაშორისო კონფერენციებისა და ღონისძიებების დამატება/გამრავალფეროვნება და სტუდენტების შესაბამისი ინფორმაციით უზრუნველყოფა.
3. აუცილებელია გაძლიერდეს და იკვეთებოდეს დაინტერესებული ყველა მხარის თანაბარი ჩართულობა, როგორც პროგრამის შემუშავების, ასევე მისი განვითარების პროცესში

რჩევები:

- პროგრამის მიზნების მეტი თვალსაჩინოებისათვის, სასურველია პროგრამის მიზნები ჩამოყალიბდეს პუნქტობრივად.
- კურსიებისთვის „პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირების საფუძვლები“ და კროპროცესორების შესავალი“ არ არის საჭირო პრერეკვიზიტი „ობიექტზე ორიენტირებული პროგრამირება“,
- კურსს „შესავალი რელაციურ მონაცემთა ბაზებში“ არ არის საჭირო პრერეკვიზიტი „მონაცემთა სტრუქტურები და ალგორითმები“,
- სასურველია საგანი „წრფივი ალგებრა და დისკრეტული მათემატიკა“ გაიყოს საგნებად „წრფივი ალგებრა“ და „დისკრეტული მათემატიკა“.
- მეტი ყურადღება დაეთმოს დამსაქმებელთან უკუკავშირს.

- სწავლის შედეგების სიღმრისეული ანალიზისთვის, სასურველია, ინდივიდუალური საშინაო დავალებების რაოდენობის შემცირება და ქულების გადანაწილება სხვა ალტერნატიულ შეფასების კომპონენტებზე.
- სასურველია, სტუდენტებისგან უკუკავშირის მიღების მიზნით უსდ-ს მიერ დაგეგმილი გმოკითხვები იყოს ნებაყოფლობითი.
- .სასურველია, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მხრიდან სტუდენტებთან საკონსულტაციო საათების მიზნობრიობაზე აქტიური კომუნიკაცია და მათი წახალისება, რათა ეფექტურად გამოიყენონ ეს დრო.
- სასურველია, წარმატებულ სტუდნეტთა წახალისების მექანიზმებისა და კომპონენტების დეტალური ჩაშლა, თუ რა შემთხვევაში იქნება სტუდენტი უნივერსიტეტისგან წახალისებული.

5. ანგარიშის წარმოპდგენის ვადად განისაზღვროს 1 წელი (25/04/2024)
6. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2023 წლის 25 აპრილს.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24[1]მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	უნივერსიტეტის ქ. N2, თბილისი, 0177, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2023 წლის 25 აპრილი

17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	2024 წლის 25 აპრილი
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2025 წლის 31 დეკემბერი